ISSN 0132-6015

ნიანგი

2

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა!

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ძმანებო, გზა ხომ არ შემშლია, აი ბაქოა თუ საგარეჯო?!.



— სალამ ალეიქუმ! აკი აქ უდაბნოაო?!

ნიანგი საგარეჯოში

„ამან მოიგო სახელი, ოდეს შეესწირეს გარეჯის უდაბნოს დაგნები ესე, უწოდეს საგარეჯო“.

ვახუშტი

ნიშანსვეტები — ჭაბურღილები

„და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე-თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავითა მშუენი... ადგილი ნაყოფიერებით აღმკული“, — ასე აღწერდა ივრის სანახებს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი წინაპარი. საგარეჯოსკენ მიმავალ ნიანგს კი ერთი კვიმატი აზრი შეუჯდა თავში:

წარმოიდგინა კახეთის გზატკეცილზე შეჩერებული მანქანიდან თავგამოყოფილი, აქეთკენ პირველად მიმავალი მძღოლისა და გარეჯელი მკვიდრის ასეთი გასაუბრება:

— ჩემო ძმია, ვერ მიმასწავლი საგარეჯოს გზას?

— რატომ ვერ, ძამო, აგერ, აი, იმ მთას, ჭაბურღილები რომ მიუყვება, მარჯვნივ ჩაუვლი, მარცხნივ შაუხვევ და საგარეჯოც იქ დაგიხვდება!..

დაე, გვაპატიოს დიდმა ილიამ მისეული ნათქვამის ეს ნიანგური გადასხვაფერება, რადგან თვითონაც გაოცდებოდა ფრიად, მშობლიურ ყვარელს გამგზავრებულს, ნავთობის ჭაბურღილების ტყე რომ ეხილა, რამდენიმე სწავლულ აგრონომზე მეოცნებე ერის მამას!..

„მოდით, მგოსნებო, ვთქვათ ნორიოს ნავთის დიდება!“ —ამ ორმოციოდე წლის წინათ პოეტის მიერ აღტაცებით თქმული სიტყვებიც მოაგონდა ნიანგს, რადგან აუწონელია, თუ რა დიდი სიკეთე უნდა ახლდეს ქვეყნისათვის კახეთის ბარაქიანი მიწის წიაღში დაგუბებულ ძალასა და ენერგიას!

განა მარტო მზის ნაყოფის ნაჟური უნდა მოედინებოდეს ივრისა და ალაზნის ნაპირებიდან, განა მარტო **„ღვინოი მანავისა კეთილი“?!** დაე, ყველამ იცოდეს, რა განუზომლად მდიდრები ვართ იმითაც, რაც მიწაზე მოგვყავს და რაც მიწისქვეშ დაფარულა!

ნავთობი უკვე მძლავრად, ოქროდ მიედინება ბათუმისაკენ!..

ნიანგმაც მარჯვნიდან ჩაუარა ჭაბურღილებს, მარცხნივ შეუხვია და საგარეჯოს მიადგა...

სოფლის ძეობა

ეწვია იმ დროს, როცა გარეჯელებმა, ის-ის იყო, უჩვეულო ძეობა იზეიმეს სრულიად საქართველოსთან ერთად — სოფლის დაბადება!..

უდაბნოს გაუშენებელ, „უმკვიდრო“ ადგილს ეძახის ქართველი კაცი, ეძახის იმას, რაც დრო-ჟამის უკუღმართობას მოუოხრებია მრავალჭირნახულ მიწაზე!..

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

ი. ალექსიშვილი

თოთხმეტი გრძელი საუკუნის წინათ მოიხსენია პირველად მეისტორიემ **„უდაბნონი გარესჯისანი“**. თოთხმეტი გრძელი საუკუნე ებრძოდა მტერი თუ სტიქიონი უძველეს კერას ქართული მატერიალურ-სულიერი კულტურისას, და ვერანდებოდა **„ადგილი კეთილი, შუენიერი“**. თოთხმეტი გრძელი საუკუნე იწერებოდა გადაბუგულ, სიცოცხლეჩამქრალ მიწაზე უდაბნოს სვეგამწარებული ისტორია!..

„საქართველოში ვინ თქვა უდაბნო?“ — საუდაბნოედ არ გაინირების არც ერთი გოჯი ქართული მინა! — ასე გადაწყვიტეს გარეჯელებმა და ხალხი მხარში ამოუდგა უდაბნოს განახლების, სოფლის აღდგენის პატრიოტულ ჩანაფიქრს.

მეათე ხუთწლედმა შვა ახალი დასახლება გარეჯის მიწაზე. სოფლის მაშენებლებს ზრუნვა არ მოჰკლებიათ: საცხოვრებელი სახლები — უწინარეს ყოვლისა! — შენდება ახალთახალი, ლამაზი კოტეჯები, კომლი მრავლდება უდაბნოში. სიცოცხლის მაუწყებელი კვამლი ასდის საკვამურებს. გავა ცოტა ხანიც და მაცოცხლებელ წყალს მიიღებს გამოგვალული მიწა, დავიწყებას მიეცემა ის სინანული, რომ **„ვერარაით რწყავენ ველთა“**, გაშენდება ზვრები და ხეხილის ბაღები, დახვავდება ბოსტნეული და ბაღჩეული. აკი ყოფილა ოდესღაც **„აქა პირუტყუთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენნი, ძროხა, კამბეჩი...“**

16 ნოემბერს უხუცესმა **ვ. ხარაშვილმა** უდაბნოს სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია გახსნა.

უდაბნოელებმა უკვე პირველ სესიაზე თქვეს თავიანთი გარჯის სათქმელი.

რაიონის კომუნისტთა წინამძღოლმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **მედეა მეზვრიშვილმა** ამაყად მოახსენა სესიას, უამრავ სტუმარს: **„მარტო ის მინდა გითხრათ, რომ ამ ხუთ წელიწადში უდაბნოს მეურნეობამ 10 მილიონამდე მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები მიპყიდა სახელმწიფოს!..“**

მართლაც, რომ საამაყოა!

ამ ხუთიოდე წლის წინათ ყველაზე გაბედულ მეოცნებესაც გაუჭირდებოდა ამის თქმა! წინ კი რაოდენ დიდი გზაა!

სოფლის ძეობა ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა.

აბა, სოფელი რის სოფელია, ახალი ოჯახები თუ არ შეიქმნა, თუ არ იმრავლა?! და ზეიმიც ქორწილით დაამშვენეს ახალი სოფლის პირველმა მუდმივმა მცხოვრებლებმა **ავთო ბერმამუკელმა** და **ნინო ბაფხოშვილმა**. ახალდაქორწინებულებმა მშენებლებისაგან ახალაშენებული კოტეჯის გასაღები მიიღეს საჩუქრად. პატარძეულელმა მძღოლმა **ავთანდილ მიქელაშვილმა** ბედნიერ წყვილს უბედნიერესი ნივთი უნობათა — ქართული აკვანი, რომლითაც თვითონ და მის მეუღლეს რვა შვილი გაუზრდიათ!..

— ბიჭო, განა შენ კი აღარ დაგჭირდება? — ხუმრობით უთქვამს ამაზე ქალბატონ მედეას. — იცოდე, თუ გაისად მეცხრე გეყოლა, ნათლია მე უნდა ვიყო!

— ოღონდ ეგ პატივი დამდეთ და, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ეგ ადვილი საქმეაო! — კახური უშუალობით უპასუხნია მამას.

დაპირებულ სიტყვას ნიანგიც დაელოდება და ისიც თავის მილოცვას არ დააყოვნებს!

ჰოდა, მთელ დღეს, გვიანობამდე გრძელდებოდა ახალი სოფლის ძეობა!..

აქვე სახალხოდ პირობა დადეს უდაბნოელებმა — 1981 წლისათვის, გეგმასთან შედარებით, 100 პროცენტით გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლეულის, ბაღჩეულ-ბოსტნეულის წარმოება, ახალ ხუთწლედში ახალსიცოცხლეჩამდგარ სოფელს იერიც მთლიანად უცვალონ, რათა ჰქონდეთ სკოლაცა და საბავშვო ბაგა-ბაღიც, ბიბლიოთეკაცა და კულტურის სახლიც, სპორტული მოედანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებიცა და საავადმყოფოც! ხუმრობა ხომ არ არის — სოფელს უახლოეს ხანში ექვსასი კომლი მოსახლე უნდა ჰყავდეს!

ასეც იქნება!



ხვავისა და ბარაქის ოსტატები

ექვსი წლის წინათ, 1974 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესახებ!.. მეათე ხუთწლედის მაჩვენებლებმა დაადასტურეს, რომ წარმატებით ხორციელდება ეს ამოცანები!

ნიანგი საგონებელს მიეცა: ბოლოს და ბოლოს, ვისი წილი სჭარბობს **რაიონის** ეკონომიკაში — სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობისა?! სახალხო მეურნეობის რომელი დარგი, რომელი კოლექტივი ხვდება ყველაზე უფრო პირნათელი ახალ ხუთწლედს, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს, რით მივლენ რაიონის კომუნისტები თავიანთ 34-ე პარტიულ კონფერენციაზე?

იფიქრა ნიანგმა, იფიქრა და ისევ ტრადიციას დაუგდო ყური: აკი წლევანდელმა შემოდგომამ ქართველ მევენახეთა დიდი სადღეგრძელო თქვა, ჰოდა, მანაც პირველი სადღეგრძელო გარეჯელ გლეხკაცს დაუთმო.

ყურძნის არნახული მოსავალი მოიწიეს საგარეჯოელმა მევენახეებმა — სახელმწიფო მარანს 37 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიუწონეს, გეგმაც გაანაღდეს და სოციალისტური ვალდებულებაც!

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ფეხსაცმელი კი ავიღე, მაგრამ ახლა რა ვქნა?
— ახლა ტანსაცმლისთვის დადექით!..

თანამედროვე მაჯამა

ხაფანგს ვუგებთ დასაჭერად
ახალ მგლებს და ახალ ტურებს!
ცხვარს და ქათამს რომ იპარავს,
ესე იგი — ახალტურებს!

სიმღერა ერთი გასტრონომის სექციონერზე

ერთ-ერთმა სექციონერმა
ლამის შეშალა ქალაქი:
პურზე წაუსვა ცხრა ათას
ოცდაცხრა კილო კარაქი!

ეს არც ზღაპარი გეგონოთ,
არც კიდევ — იგავ-არაკი!
სწორედ ასე თქვა ვექილმა —
პურს წაუსვაო კარაქი!

ტია-ტია

მაინც ყველაზე უფრო ვინ ისახელა თავი? კოლმეურნეობებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა **შიბლიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შრომითმა კოლექტივმა.** კოლმეურნეობის თავკაცს **ო. ჩალათაშვილს** სამუშაო ოთახი დაუმშვენა გარდამავალმა წითელმა დროშამ! მოსავლის გეგმა შიბლიანელებმა 156 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო წარმოებისა — 155 პროცენტით!

ყურძნის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ დიდ ლაშქრობაში არც მეორე ადგილია ურიგოო, — თქვეს **ყანდაურელმა მევენახეებმა.** მათაც ურიგოდ როდი იმუშავეს!

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონულმა კომისიამ „მესამე საპრიზო ადგილი" **კაკაბეთელებს** მიაკუთვნა. არა უშავს, გაისად ვნახოთ, „შავი კაკაბის" შებმაში ვინც იმარჯვებსო, იქადნიან კაკაბეთელები!

მეურნეობებს შორის გამარჯვებულის სახელი **გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის** ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატებმა დაინარჩუნეს!

— სახელმწიფო მარანს ექვსი ტონა მარტო საკარმიდამო ნაკვეთიდანო, — თქვა ჩაილურელმა **რომან მემარნიშვილმა.** — მერე რა, რომ მემარნიშვილი არა ვარ, მარანს არც ჩემგან დააკლდება! — მეზობელს ტოლი არ დაუდო **ფიდო ლოლაძემ.** — ვაზის ლოლიავი ჩემი მოგონილიაო!

რაიონის მევენახეთა შრომითს გამარჯვებაში თავიანთი სიტყვა თქვეს **ჩაილურის სახელმწიფო სანერგე, საგარეჯოს მევენახეობის, მანავისა და ივრის საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კოლექტივებმაც!**

...დაიწურა გარეჯული ზვრების ბარაქა რაიონის სახელგანთქმულ ღვინის ქარხნებში, რათა ლხინსა და ქორწილს, ზეიმ-დღესასწაულს, მშრომელთა სუფრას არა დააკლდეს რა „მანავის მწვანის" თამადობით! ახლახან კი რაიონის ღვინის წარმოებას მეათე ხუთწლედის პირმშო — **საექსპორტო და სამარკო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხანა-გიგანტი შეემატა.** სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ აქაური მარკით 3 მილიონი დეკალიტრი სახელგანთქმული ქართული ღვინოები გაიგზავნება რესპუბლიკისა და ჩვენი დიადი ქვეყნის გარეთ!

და ვინ იცის, კიდევ რამდენი ვინმე დაინყებს მსოფლიოს რუკაზე ერთი პატარა ქალაქის ძებნას, საგარეჯო რომ ეწოდება!

და განა მარტო მევენახეებმა ისახელეს თავი ხუთწლედის ბოლო წელს, თუ მთლიანად ხუთწლედში?!

დიდია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმეში, რაიონის წარმატებებში მეცხოველეთა, მიწათმოქმედთა წვლილიც.

მეათე ხუთწლედის მოწინავეთა სახელის დამსახურებას ნიანგი გულწრფელად ულოცავს მექანიზატორებს — ნინოწმინდელ ვეტერანს **ნიკო როსტომაშვილსა** და **ვასილ ივანიაშვილს,** ხაშმელ **გიორგი კევლიშვილსა** და **სულიკო მუჩიაშვილს,** გომბორელ **გიგა ჯინჭარაულს,** ლამბალოელ **მაჰმად სოითოონს** და **ბაქირ ისმაილ ოღლის,** მანაველ **ოთარ ოზგელდაშვილს,** უდაბნოელ **ჯემალ ჩახმახიშვილსა** და **მიხეილ პორფიროვს,** პატარძეულელ **უშანგი ძნელაშვილსა** და **შოთა გოცირიძეს,** კაკაბეთელ **ფირო ოქრომჭედლიშვილს,** გიორგიწმინდელ **ვალიკო დილმელაშვილსა** და **თენგიზ მეკოკიშვილს,** მანაველ **ფირო ფოცხვერაშვილსა** და **გუგული ბორაშვილს,** შიბლიანელ **რევაზ სადუნიშვილსა** და **ლენტო ლოლაძეს;** მწველავებსა და მეცხვარეებს — უდაბნოელ **ალექსი ქიაბერაშვილს, ამზა აბდულ-ოღლის, აბდულ სულეიმან-ოღლის, ომრულ იუსუფ-ოღლის,** მანაველ **ნადიკო** და **ნადია ტაბატაძეებს,** **ელიკო გოგოლაურს,** ნინოწმინდელებს **ვალიკო ტოპეშაშვილს, ვალიკო დემეტრაშვილს,** ხაშმელ **ევა მამუკაშვილს,** პატარძეულელ **გურამ სიბოშვილს, ვა[illegible] ქიქა[illegible]ძეს, ილო დოლენჯაშვილს, უშანგ [illegible]შვილს, ნიკო დოლენჯაშვილს,** გომბორელ **ბაბალე ნადირაშვილს, მარიამ თურმანაულს, ხაინაშათ კუნამ-ოღლის;** მესიმინდეებს — გიორგიწმინდელ **ვახტანგ ბორაშვილს, შოთა თეთრაძეს, გიგა მარიდაშვილს, ავთო კევლიშვილს,** ნინოწმინდელებს — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატს **თეზიკო კერატიშვილსა** და მის ძმას **ომარ კერატიშვილს.**

ბარაქალა თქვენს მარჯვენას!

(გაგრძელება მე-4-5 გვ.).

ნახ. ჯ. ლოლუასი

— **რას შვრები?! თავს გჭრი?! სად მიგაქვს ეგ აგური?!**
— **შენ რა იცი, ეს ისეთი ძვირფასი რამ არის, ქორწილშიაც არ შეგრცხვება მიტანა!..**

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უტექსტოდ

...და ელიმებათ!..

„კაცური კაცო!" — წამდაუწუმ ვამბობთ სუფრაზე!
„მამულიშვილო!" — სალამივით ენაზე გვაძევს!
„ერის კაცი ხარ! — მავანსა და მავანს ვუფრაზებთ
და ელიმებათ ჯავახიშვილს და ჭავჭავაძეს!

გ. კასპელი

ფრაზები

● **იმდენი** აზრი ცხესხა, რომ, იძულებული გახდა, დისერტაციით გადაეხადა.

● **ზოგიერთი** მაღაზია მომხმარებელს კი არ ემსახურება, თვითმომსახურებაზეა გადასული.

● **ციფრები** არის: არაბული, რომაული და... გაბერილი!

● **არქეოლოგიურმა** გათხრებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ყველაფერი რჩება ადამიანებს, ოღონდ — ცოტა მოგვიანებით.

● **მალვიძარათი** სინდისს ვერ გააღვიძებ!

● **ზოგჯერ** საწორის ისარი არა მარტო წონის, არამედ ნამუსის მაჩვენებელიც არის.

ანდრო კოკოლია

● **ვინც** არ ამწვანებს, იგი აშავებს.

● **მდინარეც** შეიძლება წყალწაღებული იყოს.

● **დასუფთავების** სამმართველოსაც სჭირდება დასუფთავება.

ნიკოლოზ იოსებიძე

● **გამყიდველის** ღიმილი მყიდველს ძვირი დაუჯდა.

● **მოხეტიალე** ხელოსნებმა დაიტრაბახეს: ჩვენს წარმატებებს მშენებლებს უნდა ვუმადლოდეთო!

გივი კილაძე

— ეტყობა, აქ უნდა იყოს გაჩერება!..

კრ შეშვენის!..

წუხელ მე და ჩემი ცოლი
ვიჯექვით და ჩუმად ვთვლიდით,—
რამდენი ჰყავს ჩვენს
დირექტორს
ხელქვეითი ეშმაკ-ღლიღნი!..

მე დავთვალე მხოლოდ შვიდი,
ჩემმა ცოლმა — ოცდაშვიდი!..
ამიტომაც ჩვენს დირექტორს
არ შეშვენის ძილი მშვიდი!

თეიმურ შიშვილაშვილი
(ქ. ქ ი ა თ უ რ ა)

უკომპრომისობა

— 1000!
— არა!
— 2000!
— არა-მეთქი!
— 3000!
— როგორ მიბედავ?!
— 4000!
— კიდევ გაიმეორებ
მაგ ცოფურ და, იცოდე,
ცოხენი ჩაგცვამ!
— 5000!
— ფრთხილად, არა-
ვინ დაგვინახოს!

სიმონ ბალაბაძე

დადიოდა ქალაქში მეშუშე

ერთ-ერთ ნომერ-ში (99-76-71) მაშინვე გიპასუხებდნ:

— დარეკეთ ხელმეორედ! ჩვენ პარალელური ტელეფონი გვაქვს.

რეკავთ ხელმეორედ, ან სხვა ნომრიანს კრეფთ: **99-77-52, 36-40-25, 36-20-87, 36-17-10, 95-16-20...**

დაკვეთას მაშინვე მიიღებენ: მისამართი, გვარი, სახელი, სადარბაზო, სართული, თქვენი ტელეფონის ნომერი! ყველაფერი პროგრესულ-დაა, მომსახურების ახალი ფორმების შესაფერისად, მაგრამ თავაზიანი გოგონა მაშინვე გაფრთხილებთ:

— მინა ჯერჯერობით არა გვაქვს, უნდა მოიცადოთ!

— რამდენი ხანი?

— დარეკეთ ორი კვირის მერე!

ორი კვირა როგორი მოსაცდელია ჩამტვრეული ფანჯრით?! უშუალისა, თვითონ იშოვოთ შუშა!

— მინები ჩვენ გვაქვს!

— ამ კვირაში მოვა ოსტატი!

როდის, რა დროს, რომელ საათზე, ამას არ გეტყვიან. უნდა აუცილებლად გამობათ ვინმე შინ, უცადოთ „ამ კვირას“, „იმ კვირას“, კიდევ „იმ კვირას“!

ამაოდ!

ისევ რეკავთ! ისევ დაპირება! ისევ მოლოდინი!

გაერთიანება „გ ა ნ თ ი ა დ ი ს“ რეკლამა კი ლაღდებს: **„თუ ბინაში მინა ჩაგემსხვრათ, ნუ დაელოდებით მინის დამტარებელს, შეგიძლიათ, მაშინვე დაურეკოთ „განთიადში“ და იმავე დღეს ჩასვათ ახალი მინა!“**

— იმავე დღესვეე! — ბევრი ვიცინე ამ იუმორისტული სიტყვების წაკითხვისას, ვინაიდან მე ერთ-ერთი ის ეიღბლოთადგანი ვარ, ვინაც ფანჯარა ჩაემსხვრა, რის ვაინაბრობით იშოვა მინა და მერე გულუბრყვილოდ უცადა ოსტატს „ამ კვირას“, „იმ კვირას“, კიდევ „იმ კვირას“!..

ერთი სიტყვით, ღმერთმა გაშოროთ მინის ჩამსხვრევეს! — დიდ დავიდარაბას გადაეყრებით!

არადა, დადიოდა ქალაქში მეშუშე, ეთილი, თბილისელი კაცი.

— სტეოკლა სტატელიატ! შუშა! შუშა-ა-ა-ა!

P. S. შეშვენ, ალბათ, გაინტერესებთ, თუ როგორ დამთავრდა ჩემი ჩამსხვრეული ფანჯრის ამბავი! ჩვეულებრივად: საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში გამოვეძებნე ნაცნობი, დავურეკე, იმან, თავის მხრივ, დაურეკა, სადაც ჯერ არს და, როგორც ეს სარეკლამო განცხადებაშია ნათქვამი, მეშუშე მართლაც იმავე დღეს მოვიდა და დაადგა საშეკი საქმეს!

რ. აბაშელი

სამედიცინო ანკეტა

გაოფლილს, ალბათ, შემეცდა
და დამეპრანა წყლკვი,
დახმარებისთვის ექიმთან
არ მიეხულიყვე, ნეტავი!

კარი რომ მაკრად დაკეტა,
შეუდგა ჩემამ მსლაათს,
შემეშინო გრძელი ანკეტა,
გამტანკვა, წერდა სამ საათს.
მკითხა: „რა ეკნერდა ბაუშობაშ?“
„რა გიხმარია მალამდო?“
„თუ გახსოვს, დედამ სად გშობა?“
„ადილ იყო თუ სალამო?“
ეუთხარ: „მმეენია მამიდან,
ბიჭი ეყოფილვარ ფუნთუშა,
ობოლსა მზრდიდა მამიდა,
მგონი, ჰქონია ქუნთრუშა!“
„მიამბე, დედა რამ მოკლა?“
„ნანასთვე ზომ არ ჰკლებია?“
„ხმვა, თქვენს ოჯახში რა მოხდა?“
„რით მიიეკალა ბებია?“
ეკადრე: „რა მახსოს მოხუცსა,
ობოლი დავრჩი ბავშობით!“
გახინჯვას სამ წუთს მოუნდა
და, როგორც იქნა, დავშორდით!..

მეხა შილდელი



(გაგრძელება)

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝ ᲮᲔᲚᲘ

ᲐᲮᲐ, კაცობა სწორედ **ივანე ალექსიშვილმა** უნდა დაიკვეხოს — საგარეჯოს მეკვინტაბეობის საჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა. ზეიმში, გაზეთული კაცის ბაკმობიდან ან ასვენებდა მევენახის მძიმე შრომაზე ფიქრი. გაგიგონიათ, ალბათ, ნათქვამი — თითოოფელ ვაზს რაზეოდენ უნდა სეე თავეანი, თუ გინდა, რომ გაგაბაროსო! ნამოიზარდა და ჩრეინის რაშს მოაჯდა, მექანიზატორი გახდა. მუდამ მოინინავე იყო და, რა თქმა უნდა, ქეეა არ აალდა და ჯილდოები. ეინის სიყვარეული თან სდევდა მიწაზე გაზრდილ კაცს. შორეულ ყამირზე ერთერთი პირველი გიეშურა, ბანადა, თესავდა და ამეკა. დაკვირვებულმა, უნარიანმა ეინის მუშამ მეურნეობაში პირველმა შექმნა მექანიზაციოთა კომპლექსქარი ბრიგადა. ეენახში ყველა მძიმე სამუშაოს შესრულება იკისრეს — მეკენახეებს ერთიანად გაუიოლეს შრომა — რასაც: მაჩეანა შეძლებს, ყველაეერს თვითონ აკეთებენ. ჯენახში საშუალოს მორჩენან და კომბაინებზე გადაეხდეენ. სასნელი ხელეარ აკეკ ბრიგადირს — მექანეოსიც თეკეითონ არის და კომბაინერიც, მაჩქანაზეეე აქეს გამაროული „სარემონტო სახელოსნოც“.

გასეულ გაზაფხულზამდე ლენინის, შრომის ნიშეული დროშის ორდენები, მედლები ამშეენეეა მის შრომის და. აე, გმირის ვარსკვლავიც აკიაფდა მის ფიკაციურ მკერდზე. ახლახან კი გმირს კიდევ ერთი ნეკა გამოუცხადეს რაინინს კოშუნიტეტმა — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

შრომა უყვარო ალექსიშვილების ოჯახში და, ვინ იცის, იქნებ მისი პატარა შვილიშვილიც პაპის კვალს გაჰყვეს — ისიც ხელმარჯვე მექანიზატორო გახდეს! გზა დაეფლოოს!

ᲐᲮᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲜᲘᲜ!

ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ალ ზ რ ი ე ლ-ᲜᲐᲜᲐᲠᲗ-ᲛᲔᲚᲘᲐ **მედა მეზეარიშვილი.** ამიტომაც ასეთი სიხართი და სიყვარულით გვიყვეხა

Ლ. ᲜᲘᲙᲐᲕᲐᲠᲘ

რაინინის კომეინტეტა თავეაკი გარეეეელ ახალგაზრდებზე. და ტეეილად როდი ეამაყდა — მოინინავეთა რიგებში დგანან რაინინში შექმნილი კომეკავშირული ბრიგადები...

საშუალო სკოლის შემდეგ სანთიქალის პროფტექნიკუმი სასწავლებელი დაამთავრეს **მარიამ ნინოლაეარმა** და **ლიანა ნიკლაეარმა.** მექანიზატორმა გოგონებმა გომბორის მეცხოველეობა-მეცხეელების საბჭოთა მეურნეობაში დაინყეს მუშაობა. ადრე დილადან გვიან საღამომდე გუგუნებენ მათი ტ-16 მარკის ტრაქტორები... რაოდენ საამაყოა მარიამის ბრიგადის წევრთა სიხარეული — მათი წინამძღოლი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატია.

მაზაგის საჭოთა მეურნეობის 25-კაციან კომკავშირეულ ბრიგადას ხელმძღვანელობს **ზეიად ფეიქრიშვილი.** 1980 ნელს ამ ბრიგადაზე გაიორეანენეთ იყო 13 პეტერი ეენახი. გეგმით 715 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეეეიდათ სახელმნიფოსათვის. ზეიადის მეგობრებმა ინალდებუღეს, გადედიდენით ეთმაკეო მოსაელინობა პეტერზე და პირობა ბირნინალად შეასრულეს: სახელმნიფო მარაზს 1365 ცენტნერი ყურძენი შემატეს!

ახალგაზრდობაზე პარტიის რაიკომის პირველი მდივნის საეგარს რაინინის კომკავშირეული ნინამძღოლი **ალექსი ბრაბეელი** განაგრძობს:

— უეანარა, მცონარა კომკავშირელი რაინინში, შეიძლება ითქვას, რომ არა გვყავს! ახალგაზრდობის დახაძმება თითქმის სრულყოფილია. რაც შეეხება ეართობას, სპორტს, საკვლევო ხომ **არჩენ მეკოიეეელის, ლევან თეფიდარელის, გიეი ონნაშვილს, გურამ გოგოლაურის** სამშობლოა! ამიტომ ვედილობთ, კეალავე სასახელო ფეიგენები დავუბარდოთ! უკვე მწყობრშია პატრიოტული სპეციალი დარაბი: თითქმის ყველა სოფელშია ღია საჭიდაო ასპარეზი! ფარაზეის მეზენელობა მალე დამთავრდება საგარეჯოსა და გიორგიწმინდაშია!

ბეეერი გარეეელი ახალგაზრდა მსახურობს საბჭოთა არმიაში და რაოდენ სასიხარულოა, რიგ მშობელი, სკოლა ნანინის სარალოსანსაან ბიიეეეს მაგალითს ბარათებს ეამეეეს სასახელო ბეკოლს ეაზრინსაოვეის. ამ ბოლო ხანს ასეთი ბარათები მიიღეს **დავით სიმონელის** ბეტიმან **მანია ლაფარიძისგან** და მამამ მწყემსმა **ქიტო სიმონელმა,** გიორგიწმინდელი ჯარიმკაცის **ეკეეი ნარეკლიშვილის** დედ-მამამ **ეეეენრამ** და **გურამმა.** პატარა ეეეელი ახალგაზრდის **ნოდარ ქარხეელიშვილის** მშობლებმა **ეირამ** და **ოოსეიმა.**

ამაყობს საგარეჯო თავისი ახალგაზრდებით!

ᲛᲔᲠᲝᲕᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲗ ნ ი ნ ᲐᲒᲐ რაინინის სამრეწველო ცხოერება დაეიინდეთ? — ტყუილად კი არ დგანან რაინინის მისადგომებთან ნავთობის ჭაბურღლები?!

სამმაყო და სასახელო (ნაინგის ეიეეს გასახეთქად — საკბილოს აკეა ოთ ვერ გადეეეარა მანიეადამიანეს!), მარილეკ რომ მრავალად აქეთ სამრეწველო სანარმოთა კოლექტივებს.

თავად განსაეეეთ:

1975 ნელი—რაინინმა ანარმოეა 18,572,000 მანეთის მოცალინი სამრეწველო პროდუქცია!

1978 ნელი — 36.900.000 მანეთისას!
1979 ნელი — 48.000.000 მანეთისას!
1980 ნელს, ხუთნლეიდის დამამთავრებელ ნელს, რაინინის 18-მა სამრეწველო საწარმომ ქვეყანას' მიანოდა 60 მილიონამდე მანეთის მოცალინი პროდუქცია!

კარგა ხანია, უკვე მე-11 ხუთნლეიდის კალენდარი: გადადგურეულ საქსაკომსოფლ-ტექნიკის საგარეჯოს საწარმოო გაერთიანების მმეიდელმა ეროინის ნინამეეი ორდენის კავალერმა **ეეორეი ქერეიშვილმა;** „საბატეო ნიშნის“ ორდენოსანმა ხარატმა **ვალერიან ხატიაშვილმა;** 39-ე მოძრაკი მექანიზებეეული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა **სერგო ლომიძემ;** რამდენიმე ორდენის კავალერმა, საბურავეიბის ქარხნის მუშამ **ვახტანგ კურდღელაშვილმა;** ინორის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის **ანზორ ბლუაშვილის, თამაზ მუჩნაოეის, ვაჟა ოსიაშვილის** ბრიგადებმა. რომლებმაც წარმოებაში ფართოდ დაინერგეს ხლობინის მუშაობის მეთოდი!

3. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲓᲘᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲓᲐᲒᲔᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲠᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨ!..

ᲐᲛ ᲐᲜᲐᲠᲮᲘᲡ ასე ᲐᲥᲕᲐ—**ᲔᲤᲘᲡᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ-ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲘᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲠᲘᲐ,** რომელიც უკვე 1981 ნელს თავსმეტრ მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს, თითქმის ორკარ მეტს, ეიდრე შარშან!

ეო, მართლაა: სანარმოს სახელწოდება ცოტა მოძველებულად ჩანს, რადგან, რას არ ამზადებენ აქ — ხალიჩებსა თუ ფარდებს, ნართსა თუ ქეჩას, კერამიკულ ნაკეთობებსაც კი! და, რაც მთავარია, აქ ფუ.ჭად არ იყრება არაფერი, პირიქით, სხვის გადაყრილსაც კი იყენებენ! საოჯახო ქეჩის ნანარმი, მაგალითად, მილიონად ნარრენებისაკან მზადდება და ამ გადასაყრელად გამზადებულმა ნარჩენებმა ფაბრიკას შარშან სამ მილიონამდე მანეთის პროდუქცია მისცეს!

ნიანგის სტუმრობისას აქ კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა — კერამიკულ-ქანაბოლის ორი სახეობის ნანარმს სამ ხელმწიფო ხარისხის ფეთკუთხა ნიშანი მიენიჭა!

— დაგვისახელეთ მონწინაენი! — მივმართეთ ფაბრიკის დირექტორს **გია ხაკაკაძს.**

ჩაფიერდა და, ბოლოს, გიორგისაკაკაძერად გვიპასუხა:

— მოლიანად მთელი ფაბრიკის კოლექტივი!

— მაინც?

— ქეეიანტაგი **ილსუს ხაბაზიშვილი.** მქეჩავები **ქეთინო მეკოჩაკიშვილი** და **ციცინო ყუშიტაშვილი.** ეს გოგონები კომპკავშირეული არიან და მათ ბრიგადებს ერთიმეორე ბაკეთ გამოწეეული სოციალისტურ შეჯიბრებაში. რომ იტყვიან, მათ ნამდვილად ოქროს ხელები აქვთ!

როგორც შეეიტყვეთ, ეს „ოქროს ხელეეები“ გოგონები ამ ოფდაათიან-ოფდაათხუთმეტი პროეეეტით ასრულებენ ბეგმაზს!

— არ გეგონოთ, რომ ყურძნის ნამ დიდ მოსავალში, რომელიც რაინინმა მიიღო, ჩვენს ფაბრიკას წელილი არ მიუძღო

(დასასრული)

თავისი ჩრდილი დასდევს თან. შუქსაც ჩრდილი გამოკვეთს ხოლმე უფრო მკაფიოდ, ოღონდ საქმე ის არის, ეს ჩრდილი რაც შეიძლება მოკლე იყოს, როგორც შუადღისას, მაგალითად, როცა მზე ყველაზე მეტად აცხუნებს. და სწორედ ამ ჩრდილების დასამოკლებლად (თუ მთლიანად გასაქრობად არა) იბრძვის რაიონის მთელი აქტივი, პარტიული ორგანიზაცია, კომკავშირი. ჩრდილი რომ არ გვქონდეს, არც ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისია გვეყოლებოდა.

მაშ ასე, ვეძებთ ჩრდილოვან მხარეებს!..

გეგმა და ზარალი

ვინ იცის, კიდევ რამდენი სახოტბო სიტყვის თქმა შეიძლება საგარეჯოს რაიონზე, მაგრამ ნიანგისათვის ქება „ფონდირებული“ მასალაა და მასალის გადახარჯვას კი, კარგად მოგეხსენებათ, რაც მოსდევს.

სიტყვა „მასალამ“ **საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა გაგვახსენა.**

ამ ქარხნის 1980 წლის ათი თვის გეგმის შესრულების მონაცემები: საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 86 პროცენტით, აქედან აგურის წარმოებისა — 85,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდისა — ასევე 86 პროცენტით, ხოლო ყოველი ათასი ცალი აგურის თვითღირებულება ჩვიდმეტი მანეთით მეტი დაუჯდათ!

ამოცანა გვეკითხება — რამდენ მანეთ ზარალს მიიღებდა ქარხანა. თუ წელიწადში აგურის გამოშვების გეგმა ოცდათორმეტი მილიონი ცალია?

ამოხსნა მკითხველისათვის მიგვინდვია, ჩვენ კი ასეთ ზოგად დასკვნას გავაკეთებთ: რაც უფრო მეტად შესრულდება გეგმა... მით უფრო მეტ ზარალს ნახავენ?!.. უცნაური პარადოქსია!

როდესაც ვინმეს ცუდად აქვს საქმე, იტყვიან ხოლმე, „მაგის პატრონს ხელში ორი აგური უნდა ეჭიროს და თავში იცემდესო“, მაგრამ საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხნის ხელმძღვანელები ასეთი „ფუფუნების“ უფლებას თავის თავს ვერ მისცემენ, რადგან — სადაა საამისოდ გასამეტებელი ასე ძვირფასი აგური?!

ქარხნის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ბედიაშვილი**, როგორც ამბობენ, კარგი, გამოცდილი სპეციალისტია, მაგრამ კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას და ტექნიკური პერსონალის დაბალ პროფესიულ დონეს, ქარხნის მშენებლობისას, მისი წარმოების დაგეგმვისას დაშვებულ შეცდომებს თავისი გააქვს. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ მიაღწია ქარხნის არსებობის შვიდი წლის მანძილზე დირექტორების ცვლამ სარეკორდო ციფრს — ცამეტს!

ალბათ, საშენ მასალათა სამინისტროს ხელმძღვანელები მომავალში, დირექტორების გათავისუფლების ნაცვლად, უფრო ქმედით მეთოდებს გამონახავენ ქარხნის ორივე ფეხზე დასაყენებლად.

„დუჟინეგის“ „დრუჟინა“

არ გრცხვენიათ... ღორებივით იქცევით?!

ნოდარ დუმბაძე

ღორი რომ თავისი ღორობით გამოირჩევა ყველა პირუტყვისაგან, საყოველთაოდ ცნობილია. იგი ხარბი და გაუმაძღარია, ოღონდ ჭამოს და არ ერიდება არაფერს, მეზობლის ბოსტანშიც გადაძვრება და სხვა რამესაც იკადრებს.

ეს კია, რომ, ბოლოს და ბოლოს ისევ ადამიანს სწირავს სიცოცხლეს (ზოგჯერ გოჭობის ასაკშიც კი), სისხლსა და ხორცს, ტყავსა და ჯაგარს და მთელ თავის უარყოფით ცხოველურ თვისებებს ამით გამოისყიდის ხოლმე.

ახლა კი მათზე, ვინც ღორობას იჩენს და სხვის გასუქებულ და გაფუფუნებულ ღორებს იპარავს:

საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსს **დავით ესაიაშვილს** წესად აქვს შემოღებული — შუაღამისას მანქანით შემოუაროს რაიონს, რადგან სჯერა ანდაზისა — „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“.

...**მაშინაც** ბნელი ღამე იყო და ქურდსაც ეს უნდოდა.. და უცბად ღამის იდილია თვითმცლელი ავტომანქანის უსიამოვნო ხმაურმა დაარღვია. იგი თავქუდმოგლეჯილი მიჰქროდა და ასფალტზე ტალახიან კვალს ტოვებდა. „ტალახი მშრალ ამინდში?“ — დაეჭვდა მილიციის უფროსი და მიჰყვა თვითმცლელს.

ᲓᲐᲕᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲕᲘᲙᲚᲝ!

ᲖᲝᲒᲘ მეურნეობის ხელმძღვანელი წინასწარ ვერ იგებს, თადარიგს პირუტყვის გამოზამთრებისათვის და მხოლოდ დაპირებებით კვებავს ხაჭონელს.

გაზეთებიდან

პირუტყვის გამოკვებისთვის
„იხმარა ღონე ყოველი“:
საზეიმოდ თქვა: „ჩემსავით
უნდა ვასუქო ცხოველი!
ისე დავხადო ძროხები,
ქონს ვერ იტევდნენ ტყავშიო!
რძის ნიაღვრები ვადინო
ციცა და გრძელ ზამთარშიო!“
თქვა უენოთა წინაშე:
„მე არ შევირცხვენ თავსაო,
გკვებოთ ისეთი საკვებით,
დაედრებოდეს ფლავსაო!
რჩენა-რჩევაზე მოგაწვდით
თივას, ფუჩეჩს და ქატოსო,
რომ თვითეულმა ერთ დღეში
ცხრა კილო მოიმატოსო!
ბალახს მწვანესვე გავთიბავ,
დადგეს თივათა ნაღები!
საკვების მადნად ვაქციო
ვენახებიც და ბაღებიც!
ხიმინდს დავთესავ, მოვიყვან,
ცხენიან კაცსა მალავდეს!
ხილოსად ჩავდებ იმდენსა,
ბოსლების წვერებს ფარავდეს!
ნარჩენად გქონდეთ საჭმელი:
ასრულდეს ნიშას წადილი!
საქონლის ფერმა კი არა,
სამოთხე იყოს ნამდვილი!“
დაჭდა და წერა დაიწყო,
არ ჩაურია ჭორები,
ბეგმა და ბეგმა! ბეგმების
დაწერა მთელი ტომები!

კრებებზე ოქროს სიტყვები
გადმოსდიოდა ბაგიდან.
დაპირებებით გაავსო
კარადები და მაგიდა!..
მაგრამ ზაფხული გავიდა,
უკვე აგრილდა ბარადაც.
ბეგმები, დაპირებები
ვერ გადმოსცილდა კარადას!
გაძვალტყავებულ საქონელს
ცრემლები დასცდა კრიალა:
„დაპირებები იზრდება
ჩვენთვის, საკვები კი არა!
დავღონებულვარ ამისთვის,
ბედი მჭონია ავიო!
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
რით გავიტანო თავიო?!
ან შვილი როგორ გავზარდო,
ან რძე ვით მივცე ბატონსა?!.
რატომ არ ეკითხებიან
ჩვენს უპატრონო პატრონსა?!“
თავფუყე თავმჯდომარე კი,
ხელში კვლავ კალმისტარითა,
დამწუხრებულსა საქონელს
ანუგეშებდა ამითა:
„კიდევ ითმინეთ, პირუტყვნო,
იყავით გონიერია!
თქვენს საჭმელზედაც ვიზრუნებ,
სოფელი ღონიერია!“

ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ

შემდეგ კი ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც დეტექტიურ ფილმებში ხდება—ოპერატიული მანქანა ცდილობდა, გზა გადაეჭრა თვითმცლელისათვის, თვითმცლელი კი გასასვლეს არ უტოვებდა. და როცა მდევარი დევნილმა ტყეშიც ვერ ჩამოიცილა, თვითმცლელი იორში შევარდა...

მილიციის უფროსის წინაშე იდგა თვითმცლელის თავზეხელაღებული მძღოლი ვინმე **ვაჩაძე**, უკვე ნირწამხდარი და შერცხვენილი, უკვე გამჟღავნებული ქურდი, იდგა ერთი თავმოჭრილი ვაჩაძე, ხოლო ძარაში ეწყო თორმეტი ყელგამოჭრილი ღორი!

ღორის ქურდებს, ეტყობათ, ციფრი თორმეტი აკვიატებული აქვთ და იპარავენ არც თერმეტს და არც ცამეტს, მაინცდამაინც თორმეტს. რა არის ეს? დამთხვევა? ქურდული პრინციპი? თუ ცრურწმენის გავლენა?



თოხლიაურელმა **ვალიკო გოგოლაშვილმა** თანასოფლელ თენგიზ მამისაშვილს ზუსტად თორმეტ საათსა და ნოლ ნოლ წუთზე, თორმეტ ივლისს, მოპარა თორმეტი ღორი.

ასევე, არც მეტი, არც ნაკლები — თორმეტი ღორი მოპარა პატარძეულელმა **ვაჟა უნაფეოშვილმა** მეზობელ შოთა უსტიაშვილს. ახლა სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის და მისივე ნებაა, გაითვალისწინებს თუ არა ამ აკვიატებულ ციფრს!

ᲞᲘᲠᲒᲐᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲐᲒᲐᲖᲐᲜᲐ!..

ნომერი პირველი პრობლემა მივლინებაში მყოფი კაცისათვის, რა თქმა უნდა, სასტუმროა და რა დიდია მისი სიხარული, როდესაც ამ პრობლემას გადაჭრის!

სასტუმროში ნომერი გაქვს, ეს ნიშნავს მოსვენებაც გარანტირებულია და არც ხელ-პირის დაბანა გაქვს საფიქრებელი. ხოლო თუ ბედმა გაგიღიმა და ლუქსი ან ნახევარ-ლუქსი გერგო, ეს უკვე იმის საწინდარია, რომ თქვენს ხელთაა კომფორტის მთლიანი კომპლექტი — აბაზანა, რა თქმა უნდა, ცივი და ცხელი წყლით, ტელევიზორი, ტელეფონი და ა. შ...

სწორედ ასევეა სასტუმრო „გარეჯის“ ლუქსშიც — ტელევიზორი, ტელეფონი, აბაზანა და... თქვენს მოლოდინს ცივი წყალი ესხმება. არ იფიქროთ, რომ ნათქვამს პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდეს — სადაა აქ ცივი წყალი?! ცხელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! (ჯერ ცივი უნდა იყოს, რომ გაცხელდეს!). ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ ნიანგი უწყლოდ!..

— ხელ-პირი სად დავიბანოთ? — ვეკითხებით სასტუმროს დერეფანში დაზვერვაზე გასულნი ძველ, გამოცდილ მობინადრეს.

— ეზოში, სუფთა ჰაერზე, ჯანმრთელობისთვის პირდაპირ მისწრებაა! — გვაკვალიანებს იგი.

იქ ხელ-პირის დაბანა კი მართლაც მისწრებაზეა, რადგან ელემენტარული ჰიგიენის დამცველი ბევრია, ხოლო ონკანი — ერთი.

თქვენ გგონიათ წყალი (ეს მსოფლიო პრობლემა) მართლა ასე აკლიათ საგარეჯოელებს? წყალი და მერე რა წყალი — ანკარა წყაროს თვალი მოჩუხჩუხებს ბევრგან! ზედ სასტუმროს წინ დგას დასალევი წყლის „სოკო“. და სწორედ ამ „სოკოდან “ორი მეტრის სიმაღლეზე მოჩუხჩუხე შადრევნის ჩხრიალმა მთელი ღამე არ დააძინა პირდაუბანელი და ხახაგამშრალი ნიანგი. ეზოშიც ის ერთადერთი ონკანი დაზიანებულია და დღე და ღამე უწყალოდ იღვრება წყალი—სითხე აშ ორი ო, რომელიც ასე სჭირდება სასტუმროს ნომრებში მცხოვრებთ!

რაშია საქმე?

ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲭᲐᲑᲣᲠᲚᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲝᲠᲔᲒᲗᲐᲜ

ნახულითა და გაგონილით, შთაბეჭდილებებით სავსე ნიანგი საღამოხანს ეთხოვებოდა საგარეჯოს. იორი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ვარსკვლავებით მოჭახჭახებულმა ცამ და გარეჯის მთა-გორებზე განფენილმა მთვარის შუქ-ჩრდილებმა **გიორგი ლეონიძე** გაგვახსენა — **„ამოდის მთვარე, ბრწყინავს მთვარის დღესასნაული!...“** დღესასნაული ნუ მოგკლებოდეთ, გარეჯელებო, და განა მარტო „გარეჯობასა“ და „თბილისქალაქობაზე“!

ᲕᲐᲟᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ,
„ნიანგის“ სპეკკორესპონდენტები.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ვის ეძებ მაძ?
—ჩემს მედდას, ამბობენ, ლამაზი ქალიაო!

ავადმყოფის ჩივილი

ცხოვრების ნახევარგზაზე (ალბათ, სმა-ჭამამ მიწია!)
წყეულმა ავადმყოფობამ ცოლივით შემომიტია!..
ანკეტას როცა მივსებდნენ, შიგ ჩამიწერეს „ქ ა რ თ ვ ე ლ ი“!
შემდეგ გამსინჯეს გულდასმით (ვაცხონე მათი გამზრდელი!)

წამლები გამომიწერეს და დამიმშვიდეს თან გული —
„უნდა იშოვო უნგრული, ანდა, სჯობია, ფრანგული!
ნემსები — ამერიკული, ან ინგლისური (ნაღდია!),
პოლონურს თუკი იშოვი, რა უშავს, ისიც კარგია!

აბები — იაპონური (მისწრებაა და ისაა!),
სათბური — ესპანური და ოყნები ალჟირის ვარგა!
ევროპისა და აფრიკის ზეთი არ გინდა არც ერთის!
უნდა იყიდო, როგორმე, აუცილებლად — სპარსეთის!

ერთ წამალს კიდევ დაგიწერ (არ შეგეშინდეს სიშორის!),
ჯერ ხმარებაში არ არის, მაგრამ პერუში იშოვი!“
დასასრულ, როცა მოთავდა უცხო ქვეყნების კრებული,
ერთი შეკითხვა გავბედე, ძალიან მორიდებული:

„ბოდიში, ჩვენი წურბლები არ ივარგებდნენ, გაწვრთნილნი?!
ერთი ქართულად მიკბინონ, თუ არ მოვრჩები, არ ვჩივი!“

●

... ყურის ძირებში დამასხეს (დღეს ადვილია სათქმელად!)
მეშველა! სიკვდილს გადავრჩი და თანაც დავრჩი ქ ა რ თ ვ ე ლ ა დ!

ავადმყოფი ღ. ხ., 54 წლისა (ავადმყოფობის ისტორიის № 7659).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილებიდან

კვალდაკვალ

გორში, რკინიგზის სადგურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს! — სწერდნენ რედაქციას.

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ წერილში მოტანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

გორვაჭრობის დირექციის 1980 წლის 19 სექტემბრის № 445 ბრძანებით მებუფეტე **ტ. ოთიაშვილს** და მზარეულ **ო. მაისურაძეს** გამოეცხადათ საყვედური.

დაქვემდებარებული ობიექტების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გაერთიანების გამგეს **გ. შენგელიას** გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

რედაქციაში შემოსულ წერილში აღნიშნული იყო, რომ თბილისის კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე საჩაიეში სამამულო ომის მონაწილეებს ცუდად ემსახურებიან.

თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოდან, სადაც აღნიშნული წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადავაგზავნეთ, რედაქციას აცნობეს, რომ წერილში მოტანილი ფაქტები დადასტურდა.

კიროვის რაისაზკვების ტრესტის გაერთიანება № 216-ის საჩაიეს გამყიდველს **გუსაევ გულამ მამედ ოღლის** გამოეცხადა საყვედური, ხოლო გაერთიანების გამგეს **შ. ირემაშვილს** დაევალა, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა სავაჭრო მომსახურების საქმე.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში დაძაბულობის კერების არსებობა... გრძელდება უაზრო და ტრაგიკული კონფლიქტი ერაყსა და ირანს შორის... ვის აძლევს ხელს ეს ომი? რა თქმა უნდა, არა ერაყსა და არა ირანს... ზოგ-ზოგებმა ომზე ხელი მოითბეს. ეს უკვე ჩანს.

გაზეთებიდან.


ნახ. ჯ. ლოლუაშვილი
ინდოეთის
ინდოეთის
ინდოეთის